საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიძე ირაკლი გიორგის ძე

ბერიძე ირაკლი გიორგის ძე (27. I. 1919, თბილისი – 27. VII. 1997, იქვე), მევიოლინე, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1985). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1950), პროფესორი (1966).

1930-იდან სწავლობდა თბილ. I სამუსიკო სასწავლებელში (პროფ. გროსმანის კლასი). 1945 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (დ. ოისტრახის სავიოლინო კლასი). 1939-იდან იყო საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. 1959 – 60 მუშაობდა შანხაის კონსერვატორიაში (პროფესორ-კონსულტანტი). 1967–72 კაიროს ეროვნ. კონსერვ. რექტორი და პროფესორი (ვიოლინოს კლასი) იყო.

ბ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის მევიოლინეთა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში, მის მოწაფეთაგან ბევრი მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშ. კონკურსების ლაურეატია. 1973 – 79 ბ. თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დირექტორი იყო. 1950-იდან კი – თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვ. პედაგოგი, 1960–67 – პრორექტორი სასწ.-სამეცნ. დარგში, 1966-იდან – ვიოლინოსა და ალტის კათედრის გამგე, 1990-იდან – კაიროს ეროვნ. კონსერვატორიის პროფესორი.

დაჯილდოებულია „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის“ მედლით, ეგვიპტის ხელოვნების აკად. „დიდი ოქროს მედლით“.